პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 101 (6166) 25 1978 წ. მაისი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ხელსართი

გუშინ ს. ვ. კიროვის სახელობის „პარკის სპორტული თამაშები“ გაიმართა განმეორებითი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში თბილისის „ბურევესტნიკსა“ და უნგრეთის პროფკავშირთა ნაკრებ (რგი ქვეყნის საგაზაფხულო ჩემპიონატის მესამე პრიზიორის— ბუდაპეშტის „ვაშაშის“ მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული) გუნდებს შორის.

მათი პირველი შეხვედრა, რომელიც 22 მაისს გაიმართა, მოიგეს მასპინძლებმა — 29:27 (18:12). გუშინდელი მატჩი დამთავრდა ფრედ — 23:23 (9:16).

ამსჯელეს აქტუალურ საკითხებზე

საქართველოს პარტიულ-სამეუ[რნეო აქტივის კრებამ, რომელიც 1]977 წლის 2 ივლისს გაიმართა, [ფიზკულტურის პარტიულ, პროფკა]ვშირულ, კომკავშირულ და ფიზკულ[ტურულ ორგანიზაციებს ფიზი]კური კულტურისა და სპორტის გა[ნვითარების ფართო პროგრამა და]სახა.

[ამას შემდეგ თითქმის წელიწადი] გავიდა. რა მუშაობა ჩაატარეს რე[სპუბლიკის ფიზკულტურულ-სპო]რტულმა ორგანიზაციებმა ამ ხნის [განმავლობაში? რა ღონისძიებები გან]ახორციელეს აქტივის კრებაზე მი[ღებული მნიშვნელოვანი გადაწყვე]ტილებების ცხოვრებაში გასატარე[ბლად?

სწორედ ამ და სხვა აქტუალურ [საკითხებს მიეძღვნა რესპუბლიკის] ფიზკულტურულ-სპორტული ორ[განიზაციების ხელმძღვანელთა თა]ვმჯდომარე-სემინარი, რომელიც 23-24 [მაისს საქართველოს ალპიურ კლუ]ბში გაიმართა.

[სემინარ-სემინარი შესავალი სი]ტყვით გახსნა საქართველოს სპო[რტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. ჯ]ორბენაძემ.

[მოხსენებითი და ინფორმაციე]ბით გამოვიდნენ: საქართველოს [სპორტკომიტეტის თავმჯდომარის] მოადგილე შ. ქველიაშვილი, საქა[რთველოს სპორტკომიტეტის სპორ]ტული ორთაბრძოლების სამმართ[ველოს უფროსის მოადგილე გ. ჯ]ორელაშვილი, საქართველოს სპო[რტკომიტეტის მოადგილე ვ. ცი]ცხვაძე, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსი დ. კა[ხოვი, საქართველოს სპორტკომი]ტეტის მძღოლთა სპორტის განყოფილე[ბის უფროსი ა. ბედუკაძე, საქარ]თველოს სპორტკომიტეტის მასობ[რივი ფიზკულტურისა და შრომ კომპ]ლექსის განყოფილების უფროსი გ. მძელური, მახარაძის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ო. კიშინსკი, საქართველოს სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების გამგე ი. ოგანოვი და სხვები.

თათბირმა მოისმინა, აგრეთვე, აფხაზეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გ. ხვარციას, კასპის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ა. ჯალალის, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსის ვ. ლომაძის, „სპორტლოტოს“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის გ. ზარდიაშვილის, შრომ რესპუბლიკური ინსპექციის თავმჯდომარის ა. დოკვაძის, საქართველოს ფიზკულტურა კულტურისა და სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის ო. დიდებულაძისა და სხვათა ინფორმაციები.

შემდეგ გაიმართა სემინარული მეცადინეობა სპორტკომიტეტების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

— თათბირ-სემინარის მოწყობით მეტად საჭირო საქმე გაკეთდა, — გვითხრა ჭუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლევან ახვლედიანმა. — მისი მომდინარეობის დროს ბევრი სერიოზული და აქტუალური საკითხი გადაწყდა. ახლა, როცა წინ სპასუხისმგებლო ასპარეზობები — მოსწავლეთა XV სპარტაკიადა, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშები გველის, ყოველი დღე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ფიზკულტურულ-სპორტულმა მუშაკებმა, მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ამ დიდ სპორტულ ფორუმებზე, ყოველმხრივ მომზადებული სპორტული დელეგაციები მიავლინონ.

კითხვა უპასუხოდ დარჩა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 23 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:1 (1:1).

„დინამო“: გოგია, ბიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე (მინაშვილი), ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელაია.

„შახტიორი“: ვიაჩ. ჩანოვი, იარემჩენკო, გორბუნოვი, კონდრატოვი, პიანიხი, სოკოლოვსკი (დუდინსკი), როგოვსკი (ფედორენკო), რუდაკოვი, სტარუხინი, ლატიში, საფონოვი.

მსაჯი: მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა).

გოლები გაიტანეს ყიფიანმა (21-ე წ.) და ლატიშმა (31-ე წ.).

გარეგნულად ეს მატჩი საგრძნობლად განსხვავდებოდა წინა, „ნეფთჩისთან“ ნათამაშევი მატჩისაგან. „დინამო“ მეტი მონდომებით თამაშობდა, ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ ცალეული ფეხბურთელებიც, იყო კომბინაციები და როგორც ყველაფერი ამის შედეგი „შახტიორის“ კარს გამუდმებით გოლის საფრთხე ემუქრებოდა.

ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო, „დინამომ“ გაცილებით უკეთ ითამაშა, მეტოქეთა თამაშის კლასს შორის სხვაობაც თითქოს გუშინწინდელ მატჩში უფრო საგრძნობი იყო, და მაინც, იმის თქმა, რომ ფორტუნამ ამ ორ შეხვედრაში უსამართლოდ გაანწილა ქულები (პირველში — ორი, მეორეში — ხუთოლად ერთი) სწორი არ იქნებოდა.

„შახტიორთან“ მატჩი გარეგნულად განსხვავების მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ სანახაობრივად ბევრად მომგებიანად გამოიყურებოდა, საფეხბურთო ლოგიკის თვალსაზრისით წინა შეხვედრას გაგრძელება, შეიძლება ითქვას, ასლიც კი გამოდგა.

ამას შემდეგ, რაც დონეცკელებმა წონასწორობა აღადგინეს, თბილისელებს საკმაოზე მეტი დრო დარჩათ იმისთვის, რომ კიდევ ერთი ბურთი მაინც გაეტანათ. გამარჯვების ეს გოლი პირველი ტაიმის ბოლოს და მეორე ტაიმის თითქმის ოცდაათი წუთის განმავლობაში არც თუ საეგებო ჩანდა. და სწორედ მაშინ, როცა უკრაინელთა დაცვას ბზარიც დაეტყო, როცა „დინამოს“ ხანგრძლივი ირიშის შემდეგ „შახტიორი“ სადაც არის უნდა გატეხილიყო კიდეც, თბილისელებს აღარ აღმოაჩნდათ საიმისო ძალა, რათა ეს პროცესი დაეჩქარებინათ და ბოლოს ლოგიკურ დასასრულამდეც მიეყვანათ. „დინამოს“ ნახევარდაცვა, უბრალოდ, დაიღალა. მეშახტეებმა, რომლებსაც ამ ზონაში გამუდმებით ჰყავდათ ოთხი ფეხბურთელი, ერთი შეცვალეს, ერთსაც თავდასხმიდან მოუხმეს და ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ მაინც ეთამაშა. იმის წინააღმდეგ, რომ „შახტიორთან“ ძალზე გაძნელდებოდა მოგება, უკვე მატჩის წინ არსებობდა. ტრავმირებულ დარასელას ჩიგაძეც მიემატა. თქმა არ უნდა, კარგად ითამაშა კოპალეიშვილმა, მაგრამ ნახევარდაცვაში კარგა ხანია გაჩენილ ხარვეზს ამით მაინც ვერ ეშველა. იმოქმედა გუცაევის არყოფნამაც, მაგრამ ისევ და ისევ უნდა დავუბრუნდეთ იმ აზრს, რომ სამი წმინდა ნახევარმცველით თამაში, ყოველ შემთხვევაში დღეს მაინც, „დინამოს“ ძალზე უჭირს.

ყველას კარგად ახსოვს შარშან თბილისში ცსკა-სთან ნათამაშევი მატჩი — 0:2 პირველ ტაიმში, და 2:0 — მეორეში. საინტერესოა, რომ ორი ბურთის გატანა მაშინ შეძლეს თბილისელებმა, როცა ნახევარდაცვის შტატი ერთი ფეხბურთელით გაზარდეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფორვარდების რაოდენობა სრულებითაც არ არის გატანილი გოლების პირდაპირპროპორციული. თუნდაც ბოლო ორი მატჩის მაგალითი: ორად-ორი ბურთი, თანაც, ორივე — პენალტით.

ეს ყველაფერი ისევ და ისევ ყიფიანის, ასე ვთქვათ, მისი ამპლუას გარშემო ტრიალებს. ბუნებრივია, დავითის მხოლოდ ფორვარდის ფუნქციებით შეზღუდვა საგრძნობლად შეამცირებს მინდვრის შუაგულიდან მოულოდნელ, მეტოქისთვის ერთობ უსიამო გადაცემებს, მაგრამ...

საფიქრელია, რომ გუნდის მწვრთნელებსაც სწორედ ეს „მაგრამ“ აფიქრებს, მისი სიკეთე და სიავე.

ყოველ შემთხვევაში „ნეფთჩისთან“ საკმაოდ ხელშესახებად წარმოჩენილ კითხვას ჯერჯერობით ვერც „შახტიორთან“ მატჩმა გასცა პასუხი.

ი. ბერიაშვილი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — დ. ყიფიანი დონეცკელთა გარემოცვაში; მეტოქის ირიშს იგერიებს დ. მუჯირი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

სპორტული კალენდარი

23 მაისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები:

„არარატი“ — „ძაირათი“ 1:0

„ნეფთჩი“ — „შახთაქორი“ 0:2

„ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“ 2:0

„ზარია“ — „სპარტაკი“ 0:0

ცსკა — „გორკოედო“ 2:1

შემაჯამებელი ცხრილი

გათამაშებების ცხრილი

მდგომარეობა 24 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	8	5	2	1	9—6	12
ცსკა	8	5	0	3	11—9	10
„ჩერნომორეცი“	8	4	2	2	10—6	10
„შახთაქორი“	8	4	1	3	18—11	9
„შახტიორი“	7	4	1	2	9—5	9
„ტორპედო“	8	3	3	2	11—7	9
„ზენიტი“	8	3	3	2	9—10	9
„დინამო“ მ.	8	3	3	2	1	9—6	8
„დინამო“ კ.	7	3	2	2	8—5	8
„ძაირათი“	8	3	2	3	8—11	8
„ზარია“	8	3	1	4	10—9	7
„არარატი“	8	3	1	4	4—7	7
„ლოკომოტივი“	8	1	5	2	8—10	7
„ნეფთჩი“	8	2	1	5	3—7	5
„სპარტაკი“	8	1	2	5	6—13	4
„დნეპრი“	8	1	0	7	2—10	2

ორი გუნდი — უდანაკარგოდ

ევრობის ვაჟთა V გუნდური პირველობაში, რომელიც თბილისში, ვაჟკაცის სახსახელობის მინდორზე, სამშაბათს III ტური ჩატარდა და კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ ჩემპიონი ნიდერლანდელებისა და სსრ კავშირის გუნდების ორკრობაში გამოვლინდება. ორივე [ტურნირში მსოფლიოს უძლიერესი მოშაშეები გამოდიან. წილისწარმა ასე მოიტანა, რომ ეს გუნდები ერთმანეთს დასკვნითს ტურში შეხვდებიან. ამიტომ, ცხადია, [ამ შეხვედრამდე ორივე გუნდი ყველაზე ქულათა მაქსიმუმის მოგროვებას.

III ტურში ნიდერლანდელებმა და სსრ კავშირის მოშაშეებმა „მშრალი“ ანგარიშით (3:0) სძლიეს შესაბამისად ჩეხოსლოვაკიასა და ბელგიის გუნდებს.

მსოფლიო ჩემპიონმა გიორგი მოუგო მალეშჩს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სეიბრანდსმა — კრეიმერს და დიდოსტატმა კლარკმა — მარეკს. სსრ კავშირის ჩემპიონმა განტვარგმა სძლია გრეგუარს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა შროგოლევმა — ჰინტერს და სერთიშორისო ოსტატმა ნ. შეშანსკიმ — კლასენსენს.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ ნიდერლანდელებს 6 ქულა აქვთ, საბჭოთა მოშაშეებს — 4 (4-დან).

ნ. ივესაშვილი.

* * *

სურათზე: ნიდერლანდების წარმომადგენლები — (მარცხნიდან) მსოფლიო ჩემპიონი ჰ. ვირსმა, რ. კლარკი და ტ. სეიბრანდსი.

ნ. მღებროვის ფოტო.

ველოსპორტი

კუიბიშეველი ველოსიპედისტი ა. ავერინი, რომელიც მშვიდობის 31-ე ველორბოლის ერთპიროვნული ლიდერია, მორიგ — მეთერთმეტე, ბოლოსწინა ეტაპზეც ფინიშთან პირველი მიიჭრა.

მანამდე სპბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა დუშანბელმა ს. ჰუსეინოვმა, მთიან მონაკვეთზე მარტოდმარტომ შესძლო დაწინაურება და ასე ეულად 100 კილომეტრზე მეტი იარა. იყო მოშენტა, როცა იგი ძირითად ჯგუფს 4 წუთს უგებდა, მაგრამ მერე, ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე მას წყმოეწივნენ ძირითადი ჯგუფის სპორტსმენები.

ელენა-გურა — ვროცლავის 160-კილომეტრიანი ეტაპის გაველას ავერინმა 3 საათი, 43 წუთი და 53 წამი მოანდომა. ამ შეჯიბრებაში ეს ავერინის მესამე გამარჯვებაა, მან ამით ლიდერის პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცა. ეტაპზე ფინიშთან მეორე მივიდა მ. კლასი (ჩეხოსლოვაკია) — 3:44:00, მესამე იყო ფსკოველი ა. ზახაროვი — 3:44.05. ზახაროვი საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზეა.

გუნდურ ტურნირში დიდი უპირატესობით საბჭოთა ველოსიპედისტები ლიდერობენ და შეიძლება ითქვას, გამარჯვება მათ უკვე გარანტირებული აქვთ.

სოფლის სპორტი: პროგლემები, პერსპექტივები

სიტყვას — საქმე!

იმ ადგილას ყვირილას კალაპოტი საგრძნობლად შევიწროებულა, დინებას უმატებია და სტადიონზე, სადაც ჩვენ საჩხერის რაიონის ფიზკულტურელთა თავკაცთან **დიმიტრი გოშაძესთან** ერთად ვიმყოფებით, წყლის შხუილი სპორტული პაექრობის სანახავად მოსულ გულშემატკივართა გამაძხნევებელ შეძახილებს უერთდება.

კარგი სტადიონი აქვთ საჩხერელ ახალგაზრდებს. წვიმიანი ამინდია, მაგრამ სათამაშო მინდორი მაინც ჩინებულად გამოიყურება.

— სტადიონის მოწყობაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა მოსკოვში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ გივი აბრამაშვილმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაზონების ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება, — ამბობს დ. გოშაძე, — ისე, აქაურობა მალე ნამდვილი სპორტული კომპლექსის იერსახეს მიიღებს. ამ დღეებში დაიწყება ღია საცურაო აუზის მშენებლობა, აქვე მოეწყობა კალათბურთისა და ფრენბურთის ორორი მოედანი, ჩოგბურთის კორტები, ამენდება, აგრეთვე, საშუალო ზომის სპორტული დარბაზი.

უნდა ითქვას, რომ ამ საშვილიშვილო საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რაიონის ხელმძღვანელობა. უშუალოდ კი სამუშაოებს საჩხერის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო სამმართველო (უფროსი **კ. თურმანიძე**) ასრულებს.

მართალია, საჩხერის რაიონის სპორტულ ცხოვრებაზე საუბარი მათი კარგი საქმეებით დავიწყეთ, მაგრამ აქაურ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს პრობლემებიც საკმაო აქვთ.

...მივლინებაში გამგზავრების წინ საჩხერიდან ასეთი შინაარსის წერილი მივიღეთ: **„პატივცემულო რედაქციავ! როგორც ყველა ახალგაზრდას, ჩვენც, ქორეთელებსაც გვიყვარს სპორტი, განსაკუთრებით კი ფეხბურთი. სამწუხაროდ, სათამაშო მინდორი არ გაგვაჩნია. ადრე გვქონდა, მაგრამ გადაგვიხნეს და ვენახი ჩაყარეს. შემდეგ სათიბში გადავინაცვლეთ, მაგრამ თამაში იქაც აგვიკრძალეს, სოფლის სკოლას აქვს მართვი ტიპის სპორტული მოედანი, მაგრამ სკოლის დირექცია იქ თამაშის უფლებას არ გვაძლევს.**

სოფლის ხელმძღვანელობა კარგა ხანია ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას დაგვპირდა, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. გთხოვთ დაგვეხმაროთ!“

წერილს 15 კაცი აწერს ხელს. იგი ქორეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს **გ. კაპანაძეს** გავაცანით. სოფლის თავკაცი ახალგაზრდების სამართლიანი მოთხოვნის მოკლე დროში შესრულებას დაგვპირდა. ვფიქრობთ, ამჯერად სიტყვას საქმეც მოჰყვება.

შემდეგ სოფელ კორბოულას ფიზკულტურის კოლექტივს ვეწვიეთ. აქ შარშან ძიუდოს სექცია გაიხსნა და ბიჭებმა უკვე პირველსავე შეჯიბრებებზე ისახელეს თავი. სექციას ახალგაზრდა სპეციალისტი **ოლეგ ტყემალაძე** ხელმძღვანელობს. აქაურ ჭაბუკებს მონდომება და ჭიდაობის სიყვარული არ აკლიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, წვრთნა-ვარჯიშის შესაფერისი პირობები არა აქვთ. ტატამზე ვიწრაც ჩავეს, კიმონოებიც ვერ შეუძენიათ დღემდე. სპორტული ბაზების და ინვენტარ-აღჭურვილობის ნაკლოვანებას სპორტის სხვა სახეობებში მომეცადინეებიც განიცდიან. მართალია, რაიონში სპორტის ენთუზიასტები მრავლად არიან, მაგრამ მარტო ენთუზიაზმი, თუ მხარდაჭერა არაა, ხშირად სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების შემდეგ რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებას წინსვლა დაეტყო და გვჯერა, რომ საჩხერეში აღზრდილი ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

ო. კუსიანი,
გ. ბარაზაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ამ წერილს კურზუელი ახალგაზრდების ბარათები დაედო საფუძვლად: **„სოფელში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება დაბალ დონეზეა: არ გაგვაჩნია არცერთი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, ფეხბურთის მინდორი კი სავალალო მდგომარეობაშია და სათამაშოდ არ გამოდგება, რის გამოც რაიონის სპორტკომიტეტმა სოფლის გუნდი რაიონის პირველობაზე არ დაუშვა. ჩვენს თხოვნას სოფლის თავკაცები უურადღებას არ აქცევენ, ახალგაზრდებს კი გვიყვარს სპორტი და არ გვინდა ჩამოვრჩეთ რაიონის თანატოლებს“** — წერდნენ **ი. ბერულავა, გ. ნაჭყებია, ლ. ინჯგია** და სხვები.

აღნიშნულ საკითხზე ადრეც დაიწერა ჩვენს გაზეთში, მაგრამ, როგორც ჩანს, შედეგი არ გამოუღია.

გადაწყდა კურზუში გამგზავრება.

როგორც გეგეჭკორის რაიონის სპორტკომიტეტში გვითხრეს, რაიონის ხელმძღვანელობას ეს საკითხი უუურადღებოდ არ დაუტოვებია. მასზე სპეციალურად იმსჯელეს პარტიის რაიკომში, სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომში, რაიონის სპორტულ კომიტეტში და ეს საკითხი მუდმივი კომისიის სხდომაზეც გაიტანეს.

ჩვენს წინაშეა რაისაბჭოს აღმასკომის 1975 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება, რომელიც მიუთითებს რა სოფელ კურზუს სპორტულ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებზე, კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას ისახავს მიზნად და აღნიშნავს, რომ საამისოდ გამოყოფილი თანხები ხშირად არადანიშნულებისამებრ იხარჯებოდა, რის გამოც საყვედური გამოეცხადა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ი. ნაჭყებიას, მეეოთა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს გ. ბერულავას, ხოლო ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ა. ფონიავას საქმე განსახილველად გადაეცა კოლმეურნეობის გამგეობას.

გატარებულმა ღონისძიებებმა არსებითი შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც რაიონის პირველობაზე, რომელიც ტრადიციულად ყოველ წლის გაზაფხულზე ტარდება გეგეჭკორში, სპორტის ბევრ სახეობაში კურზუელებს თავიანთი წარმომადგენლები არ გაუგზავნიათ.

ვთქვათ, სოფელს არ გააჩნია ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები და ფეხბურთის მინდორიც სათამაშოდ უვარგისია, რა უშლიდათ მათ ხელს, მიეღოთ მონაწილეობა ჯადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობებში (საამისოდ საკმაო ბაზა სოფლის სკოლასაც გააჩნია)?

ეს ფაქტი ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის სუსტ მუშაობაზე მიგვანიშნებს, მით უმეტეს, იგი კოლმეურნეობის პარტორგიცაა და მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერი თქვენზეა, ახალგაზრდებო!

ვეწვიეთ სოფელ კურზუს. იგი ერთ-ერთი მაღალმთიანი, ლამაზი და მდიდარი სოფელია გეგეჭკორის რაიონში. კოლმეურნეობა ყოველწლიურ დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებს და ამაში დიდი წვლილი სოფლის ახალგაზრდებსაც მიუძღვით.

აქაურ ახალგაზრდებს შეუძლიათ სპორტითაც გამოჩინონ თავიანთი სოფელი, საამისო პირობები რომ ჰქონდეთ.

ბუნებრივია, მათ დასვენებაც ესაჭიროებათ. ამაში კი, პირველ რიგში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების მოწყობას.

ვნახეთ ფეხბურთის მოედანი, რომლის ფართობი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ აქვე მოეწყოს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები და სარბენი ბილიკები. რელიეფურადაც იგი ერთადერთი საუკეთესო ადგილია: მდებარეობს სოფლის ცენტრში (სკოლასთან ახლოს), შემაღლებულ ადგილას, რაც გამორიცხავს წვიმის შემთხვევაში მის დატბორვას და სათამაშოდ გამოსადეგია ყოველგვარ ამინდში. წერილში მხილებული ფაქტები დადასტურდა: მინდორი ორორჩორრო და მოუსწორებელია, მართალია იგი ერთ დროს მავთულის ბადური ღობით შემოუკავებიათ, მაგრამ ღობე ალაგ-ალაგ ჩაშლილია და ნებლობის პროცესშია და მასაც მალე ვქნებთ ნათელი სპორტული დარბაზი (როგორც პროექტითაა გათვალისწინებული) და ეს უფრო გაზრდის სოფელში სპორტული მუშაობის დონეს. აქ არ შეიძლება საყვედური არ გამოვთქვათ კურზუელი ახალგაზრდების მისამართით — ყველაზე მეტ გულგრილობას ისევ თვითონ იჩენენ. ახალგაზრდობა დიდი ძალაა, მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. რაც მთავარია, კოლმეურნეობის გამგეობამ გამოჰყო ბიწა, შეიძინა ინვენტარ-მოწყობილობა, მაგრამ თუ მოედანი მოსასწორებელია, ზედაქვები ყრია, ღობე ჩაშლილია და სარეველაც მძლავრობს, ამას თვითონ ახალგაზრდებმა უნდა მიხედონ, სწორედ მათ უნდა იზრუნონ სოფელში სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა, კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ფონიავამ და კომორგმა მ. ნაჭყებიამ. რაც შეეხებათ სოფლის თავკაცებს, ისინი დახმარებას არ დაიშურებენ.

სიტყვა თქვენზეა, კურზუელო ახალგაზრდებო!

ო. ფუტკარაძე,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).
გეგეჭკორის რაიონი,
სოფ. კურზუ.

ხიდისთაველთა წარმატებები

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გოგიბერიძე, ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე ს. კალანდაძე); აქ მარტო 1977 წელს მომზადდა 42 მძღ-ს ნიშნოსანი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20-სა; გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსანთა და სახოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადების გეგმებიც. ხიდისთაველმა ფეხბურთელებმა რაიონულ პირველობაზე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით კოლმეურნეობაში შეიქმნილია ყოველგვარი პირობა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისათვის — რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ფეხბურთის მოედანს, აშენდა სპორტსმენთა გასახდელი ოთახები, კეთილმოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

ხიდისთავის კოლმეურნეობამ, რომელმაც 1977 წლის სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა, აიღო ახალი გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც სპორტულ-მასობრივი მუშაობის საქმირო სიმაღლეზე დაყენებასაც ითვალისწინებენ.

კოლმეურნეობის 115-კაციანი ფიზკულტურული კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს მუშაობის ახლებურად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენებისათვის.

დ. გურგენიძე.



სპორტის ტექნიკური სახეობები თანდათან მკვიდრდება რესპუბლიკის რაიონული ცენტრების, დიდი სოფლების ფიზკულტურულ კოლექტივებში. თელავისა და ახმეტის მოტობურთელები რესპუბლიკური ტურნირებშიც სცდიან ხოლმე ძალას.

ს უ რ ა თ ზე: თელაველი და ახმეტელი მოტობურთელების შეხვედრის მომენტი.

ე. ხუცურაულის ფოტო.

სპორტული ბაზების მშენებლობა — №1 პრობლემა

დასრულდა, მხოლოდ... ნაწილობრივ

ამ დღეებში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საქტო დარბაზში თავი მოიყარეს „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმის მონაწილეებმა. აქ საქმიანი და პრინციპული საუბარი გაიმართა სტუდენტ-სპორტსმენთა მიღწევებზე, აგრეთვე, იმ ნაკლოვანებებზე და. პრობლემებზე, რომლებიც აფერხებენ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უფრო ფართოდ გაშლას. პირველ რიგში, ყურადღება გამახვილდა სპორტულ ბაზებზე, რომლის ნაკლებობას ასე მწვავედ განიცდიან რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები. ითქვა, რომ ბევრგან არადამაკმაყოფილებელია სპორტული ნაგებობების მშენებლობის ტემპები.

მაგალითისათვის შორს წასვლა არაა საჭირო. ჯერ კიდევ შარშან, გაზაფხულზე, ვაკეში, ფარიკაობისა და ძალოსნობის რესპუბლიკური სკოლის გვერდით, საქართველოს სპორტკომიტეტის № 1-მა შემკეთებელმა-სამშენებლო სამმართველომ (უფროსი გ. ხოფერია) ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის დაიწყო 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზის მშენებლობა, რომელსაც პროექტის მიხედვით პატარა ზომის (6 × 10 მ) ბავშვთა საჭუმპალაოც ექნება. იმავე ტერიტორიაზე აშენდება, აგრეთვე, სპეციალური დარბაზი ძიუდოისტებისთვის.

რა მდგომარეობაა ახლა მშენებარე სპორტულ ნაგებობებზე?

აუზის მშენებლობა ნაწილობრივ დასრულდა, მაგრამ მოუპირკეთებელია ბავშვთა საჭუმპალაო, უშეთვალყუროდაა მიტოვებული საქვაბე და წყლის სიფილტრე მოწყობილობა. უფრო სამწუხარო ისაა, რომ ამ ობიექტზე მშენებელთა ჰაჭანებაც არაა.

ძიუდოისტებისთვის განკუთვნილი ნაგებობაც საბრალოდ გამოიყურება. მშენებლებმა ისღა მოხერხეს, რომ რკინის კონსტრუქციები დაამონტაჟეს, გადახურეს და საქმეც ამით დაასრულეს.

— დასანანია, რომ საცურაო აუზისა და საქიდაო დარბაზის მშენებლობა ასე უსაშველოდ ჭიანურდება, — გვითხრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა ა. მელიამ, — სპორტული ბაზებით ისედაც ვართ განებივრებული და ის ნაგებობანი მაინც უნდა აშენდეს დროულად, რაც გეგმითაა გათვალისწინებული!

შ. კორიძე.

რ ი ს გ ა მ ო, ვ ი ს ი გ უ ლ ი ს თ ვ ი ს ?!

როგორც გაზეთები „კომუნისტი“ და „ლელო“ იტყობინებოდნენ, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მასპინძელთა მიერ ყოველი ჩატარებული მატჩის მონაწილე ფეხბურთელთა, სტადიონის მუშაკთა მოკრძალებას, მაყურებელთა ქცევას ყურადღებას მუდმივმოქმედი ეიუტი.

ეიუტში გაიმართა ეიურის სხდომა, რომელმაც განიხილა თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩის მსვლელობა. სხდომაზე აღინიშნა, რომ სტადიონის დირექციამ, „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივმა და მსაჯთა ბრიგადამ კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და ყველაფერი გააკეთეს მატჩის მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარების მიზნით.

ამავე დროს ეიურიმ აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის სტადიონის სამხრეთ ტრიბუნაზე თავშეყრილ მაყურებელთა მიმართ, რომლებიც თამაშის მეორე ტაიმის ერთ-ერთ მომენტში უწმაწურ და ყოვლად უხამს სიტყვებს გაიძახოდნენ მატჩის არბიტრის მისამართით, რაც შეურაცხყოფელია არა მარტო მსაჯისა და მატჩზე მოსულ მაყურებელთა უდიდესი ნაწილისათვის, არამედ მთელი სტადიონის, ჩვენი გუნდისა და, თუ გნებავთ, ჩვენი დედაქალაქისათვისაც.

ეიურიმ მიზანშეწონილად მიიჩნია ეთხოვოს პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ფეხბურთის ფედერაციას, რომელმაც დააწესა პრიზი „გუნდთან ერთად“, სამხრეთ ტრიბუნაზე მსხდომ მაყურებელთა ჯგუფის მიერ მსაჯისა და ფეხბურთელების, აგრეთვე სხვა მაყურებელთა შეურაცხმყოფელი წამოძახილებისათვის სტადიონს გუნდთან ერთად ჩამოაკლოს ქულათა ის რაოდენობა, რაც გათვალისწინებულია ამ შემთხვევაში პრიზის დებულებით.

რედაქციისაგან: პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა მუდმივმოქმედი ეიურის გადაწყვეტილება და თბილისის „დინამოს“ სტადიონს ჩამოაკლო 30 ქულა.

ასე ისჯება ჭეშმარიტი მაყურებელი, სათაყვანებელი გუნდი და დედაქალაქის სტადიონი ხულიგანი ბიჭებუჭების თავაშვებულობის გამო. (საქინფორმი).

საერთაშორისო ჟიჟვეული

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

„სჭური“ (წალენჯიხა) — „ამირანი“ (ონჩამჩირე) 1:0. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

ერთადერთი გოლის გატანა ამ მატჩში წალენჯიხელმა მარგველანმა შეძლო 66-ე წუთზე.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „ივერია“ (ხაშური) 0:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

„იბერია“ (ქარელი) — „ამირანი“ (ონჩამჩირე) 0:2. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს ჩხვირიამ და ქობალიამ.

„სპარტაკი“ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:2. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).

„მზიური“ (გალი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0. მსაჯი ა. წურწქავა (ფოთი).

ამ საინტერესო შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, ბოლო ხვედრის ბედი, ფაქტობრივად, ბოლო წუთებში გადაწყდა. ნდიას მიერ 82-ე წუთზე გატანილმა ბულმა ზუსტმა დარტყმამ.

„მეშახტე“ (ტყიბული) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

„მეტალურგი“ (რუსთავი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

თანაბარ ბრძოლაში 2 ქულის აღება შეძლეს „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა. გოლი გაიტანა აბაძემ.

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

„ნადიკვარი“ (თელავი) — „ხვური“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი ა. ჭანანაშვილი (თბილისი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

ს. ფილიას მიერ გატანილმა გოლმა გამარჯვება მოუტანა ფოთელებს.

ფეხბურთი

პრიზი „გუნდთან ერთად“

ფეხბურთის მოყვარულებმა იცი-ან, რომ წლეულს უმაღლესი ლიგა საკავშირო ჩემპიონატში დაიწყება ახალი პრიზი „გუნდთან ერთად“. ჩვენი მკითხველები ითხოვენ გამოვაქვეყნოთ ახალი პრიზის დებულება.

ამჟამად არსებული სხვა პრიზებიდან პირადი ან გუნდურია, ეს პრიზი კი თავისებურია: „გუნდი-სტადიონი-გულშემატკივარი“. პრიზის გათამაშების პირობები ასეთია. ქულათა შეჯამება ხდება 4 კრიტერიუმის მიხედვით:

1. მაყურებელთა რაოდენობა 20-დან 50 ათასამდე — 100 ქულა. 20 ათასზე ნაკლები ყოველი ათასისთვის გამოაკლდება 5 ქულა, 50 ათასზე ზევით ყოველ ათას მაყურებელზე დაემატება 1 ქულა. ცნობები აღებული იქნება გაზეთ „სოვეტსკი სპორტიდან“.

2. მხედველობაში მიიღება სტუმართა მიღება, სტადიონის მზადყოფნა (გარეგანი იერი, მინდვრის, დასხდომის, მსაჯთა ოთახის მდგომარეობა, რადიოინფორმაცია, პრესცენტრის მუშაობა და ა. შ.). ერთი პირობის (ცუდად იმუშავა პრეს-ცენტრმა, ან მინდორი არ იყო კარგი) შეუსრულებლობისთვის გამოაკლდება 10 ქულა; ორი ან მეტი პირობის შეუსრულებლობისას — 20 ქულა. სტადიონის დამჭირავებელი გუნდები მასპინძლებად ითვლებიან და ვალდებული არიან შეასრულონ დებულების ყველა მოთხოვნა.

3. ამ მონაცემებს ფეხბურთის სამართველოში წარადგენენ მატჩების ინსპექტორები, რომლებმაც ნაბიჯ გასულ სეზონში მატჩების პროცენტი. ამჟამად დაგეგმილია ასპროცენტიანი განხილვა.

4. ამ გუნდს, რომლის მოთამაშემ მიიღო გაფრთხილება, გამოაკლდება 10 ქულა, მინდვრიდან გაგზავნისთვის — 20 ქულა. თუ გაფრთხილებული ან გაძევებული იქნა სტუმართა მოთამაშე, გუნდს ქულა დაუკლდება ამ შემთხვევიდან პირველივე მატჩში თავის მოედანზე.

„არნახული“ ამბავი“, „სტალინგრადი ნორმალურად ცხოვრობს“, „უდიდეს ნანგრევებზე გამართული მატჩი“...

ასეთი სათაურები გაჩნდა დიდი სამამულო ომის დღეებში — 1943 წლის მაისში — ინგლისის, ამერიკის, ავსტრალიის, ბრაზილიის, არგენტინისა და სხვა ქვეყნების გაზეთებში, რომლებიც საბჭოთა ჯარების გამარჯვებით სულისთქმით ერთად, მეორე მსოფლიო ომის ფრონტების საბრძოლო მოქმედებათა ცნობებთან ერთად გაკვირვებული იუწყებოდნენ ფეხბურთის მატჩის შესახებ სტალინგრადში.

...დიდი ვოლგის ეპოპეა ახალი დამთავრებული იყო. ნანგრევებად ქცეული ქალაქის ირგვლივ დამწვარი, „უსულო“ სახლები მიჰყვებოდნენ სახელდახელოდ მილაგებულ ქუჩებს. აქა-იქ — ფაშისტთა დამახინჯებული ტანკები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, სავაზნე ყუთები, დათხრილი სანგრები და ტრანშეები... მიწის უზარმაზარ ზოლზე, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმულიყო.

...და აი, სტალინგრადში დაბადა იდეა, რამაც უმალვე ჰპოვა მხარდაჭერა, ნათელ საპირველმაისო დღესასწაულზე გამართონ ფეხბურთის მატჩი — ნამდვილი დიდი ფეხბურთი, რომელიც აქ ადრე არაერთხელ უხილავთ. მიწევდა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო და პოპულარულ გუნდს — მოსკოვის „სპარტაკს“ გაუგზავნეს.

გაგზავნა — გაგზავნით, მაგრამ სად უნდა ეთამაშათ: „ზოტის“ სტადიონი ხომ სულ მთლად გადათხრილი იყო ყუმბარებითა და ჭურვებით და აი, ახალგაზრდობამ ორი თვის განმავლობაში — მარტსა და აპრილში — პირდაპირ კოლოსალური სამუშაო ჩაატარა: გაიწმინდა, გასწორდა მინდორი, აღმართა ტრიბუნები...

2 მაისს ნათელი, საოცრად წუნარი დღე გათენდა. სტალინგრადელები სიხარულს ვერ მალავდნენ — ყველა, ვისაც კი ფეხზე დგომა შეეძლო, მიემართებოდა სტადიონისაკენ — ფეხბურთზე! იგი ახლა მარტო თამაში კი არ იყო, არამედ — მშვიდობა, სიმშვიდე და სიყვარული. სტადიონზე, რომელიც სამი ათას ადგილზე იყო გათვალისწინებული, წარმოიდგინეთ, ახლა ორჯერ თუ სამჯერ მეტი მაყურებელი დაიტია. ტრიბუნებზე, ცხადია, მრავლად იყვნენ სამხედროები — ფრონტის მებრძოლები და ზურგში მომუშავენი, იყვნენ დაჭრილებიც, რომლებიც საგულე ჰოსპიტლებში ამთავრებდნენ მკურნალობას.

სტალინგრადელები სიყვარულით მიესალმნენ მშობლიურ „ტრაქტორს“, რომელიც ომამდე წარმატებით ასპარეზობდა უძლიერესთა შორის, ტრიბუნები ცნობდნენ თავიანთ კერპებს: აგერ მაღალი ტანის ვასილი ერმასოვი — ცნობილი მეკარე და უშიშარი მზეკრული შეკრებილთა ტაშის გრიალში მას აქვე, თამაშის წინ გენერალმა დიმიტრი სკოკოვმა საბრძოლო მედალი გადასცა მამაცობისათვის. აგერ მისი თანაგუნდელებიც: კ. ბელიკოვი, ლ. შერემეტი, ა. მოისეევი, ა. კოლოსოვი, ბ. ზუევი, ი. ფროლოვი, ფ. გუსევი, გ. შლიაპინი, ს. პლონსკი, ს. პელიკიანი, ი. ბელოუსოვი, ლ. ნაზარჩუკი, ვ. ივანოვი...

წითელ, ტრადიციულ მაისურებში დგანან სპარტაკელები: მეკარეები ა. აკიმოვი და ა. ლეონტიევი, სამი მცველი სოკოლოვი — ვიქტორი, ვასილი დ ბორისი, შემდეგ კ. მალინინი, ა. სეგლინი, ბ. სმისლოვი, გ. გლაზკოვი, ვ. სტეპანოვი, ო. ტიმაკოვი, ი. მოროზოვი, ს. ხოლოდკოვი, გ. შჩაგინი, ა. ობოტოვი — ფეხბურთის გამოჩენილი ვარსკვლავები, დიდი სტადიონების კერპები და სიამაყე.

თამაში იშვიათად ამაღელვებელი და ლამაზი იყო. თავდაპირველად უფრო მეტს უტევდნენ მასპინძლები და პირველი ტაიმიც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 1:0. შესვენების შემდეგ კი სპარტაკელებმა აღადგინეს წონასწორობა — 1:1. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ამ დღეს მეკარეებმა და დაცვითმა ხაზებმა, რამაც მატჩის ანგარიშიც ჰპოვა გამოხატულება. მაყურებლებმა არაერთხელ დაუკრეს ტაში მეკარეებს ა. აკიმოვი, ა. ლეონტიევი და ვ. ერმასოვი, სოკოლოვების დაცვითი „ბასტიონი“...

— ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვადევნებდით თვალ-ყურს სტალინგრადელთა თამაშს, — წერდა შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთი არმიული გაზეთი. — გვხიბლავდა მათი უჭკნობი ოსტატობა. თითქოსდა ზურგს უკან არ იყო ომის ორი მომაქანცველი წელიწადი, უმკაცრესი გამოცდა. სპორტმა ეს ადამიანები ნამდვილ მებრძოლებად აქცია, ომმა კი ისინი კიდევ უფრო გამოაწრთო როგორც სპორტსმენები!

თუ რას წერდა ამ მატჩის შესახებ უცხოეთის პრესა, ზემოთ უკვე მოგახსენეთ. დაუმატებთ მხოლოდ ინგლისელი ჟურნალისტის ბრიუს ჰარისის სიტყვებს, რომლებიც დაიბეჭდა იმ დღეებში გაზეთ „კრასნი სპორტში“ („სოვეტსკი სპორტი“):

— ჩვენი გაზეთებიდან შევიტყეთ მოსკოვის „სპარტაკისა“ და სტალინგრადის გუნდის მატჩის შესახებ. ძალიან მსურს ვიცოდე, ამ მატჩის არა მარტო შედეგი, არამედ დაწვრილებითი ამბებიც. სტალინგრადი — ეს სახელი არნახული შეუდრეკელობის, სიმამაცისა და გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. მაგრამ ამა ვინ იფიქრებდა იმას, რომ სტალინგრადი მასზე გადმხდარი ასეთი ტანჯვის შემდეგ, რომელიც არ რგებია არც ერთ ქალაქს, შეძლებდა ფეხბურთის მოყვარულთა გუნდის გამოყვანას? ეს ხომ განუმეორებელი სტალინგრადული სულისკვეთებაა, რომელიც ასე ახასიათებს თქვენს მებრძოლებს — სულისკვეთება, რომელსაც ვერაფერი გატეხავს და დათრგუნავს!

როდესაც ამ მატჩზე ვფიქრობთ, უმალვე ოპერებულ კიევსა და საბლოკადო ლენინგრადში გამართული ფეხბურთის კიდევ ორი, არანაკლებ ცნობილი ორთაბრძოლები გვაგონდება. ამა გაიხსენეთ: კიევის „დინამო“ და ფაშისტთა ნაქები „ლიუფტვაფე“, ლენინგრადის „დინამო“ და ბალტიის ფლოტის გუნდი. ამ დაუვიწყარმა შეხვედრებმა დიდი საგაზეთაციო, თუ გნებავთ, პოლიტიკური მისია შეასრულეს ომის მრისხანე დღეებში. ლენინგრადის მატჩი, რომელიც 1942 წლის 6 მაისს გაიმართა, გადმოიცა რადიოთი (რეპორტაჟი მიჰყავდა წარსულში ცნობილ ფეხბურთელს მ. ოკუნს). მისი ხმა, რომელიც დინამიკებით იყო გაძლიერებული, ფრონტის ხაზს ეფინებოდა, დამჯერებლობას მატებდა საბჭოთა არმიელებს, ხოლო ფაშისტებს პირდაპირ ცოფს ჰგვრიდა.

მატჩი სტალინგრადის ნანგრევებზე...

ოთხთა ტურნირი უჩვეულო მატჩის აღსანიშნავად

...სტალინგრადის დაუვიწყარი მატჩიდან 35 წელიწადი გავიდა და აი, ვოლგოგრადის ალკა სოლქო კომიტეტმა, სპორტკომიტეტმა, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭომ გადწყვიტეს ვოლგოგრადში გამართონ გმირი ქალაქების, სახელოვანი გუნდების ტურნირი ფეხბურთში. ასპარეზობის სტარტზე გამოვიდნენ ვოლგოგრადის, კიევის, ლენინგრადისა და მოსკოვის „დინამო“. (გუნდები სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებისგან შედგებოდა), რომელიც დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ პირველი გაემგზავრა საზღვარგარეთ ტურნეში და ოთხი ლეგენდარული მატჩი გამართა დიდი ბრიტანეთის გუნდებთან.

სტუმრად ტურნირზე მიიწვიეს ცნობილი ფეხბურთელები პეტრე დემენტიევი და ანატოლი აკიმოვი, ბორის პაიჭაძე და მიხეილ სემიჩასტნი, მაკარ გონჩარენკო და ევგენი ლისიევი, ანტონ იძკოვსკი, ვალენტინ ფიოდოროვი, არკადი ალოვი, ლევ იაშინი...

ჩვენ შევხვდით ვოლგოგრადის ტურნირის სპატეო სტუმარს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბორის პაიჭაძეს. აი, რა გვითხრა მან:

„სტალინგრადში 1943 წლის 2 მაისს გამართული მატჩი ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ იმავე ქალაქში, იმავე წელს — ზუსტად ორი კვირის შემდეგ — თბილისის „დინამოც“ შეხვდა „ტრაქტორს“. მახსოვს, მაშინ სტალინგრადამდე გზას ორ კვირას მოვუნდით — ჩვენი ვაგონი მიბმული იყო სამხედრო ეშელონზე, რომელიც გზაში ბარე სამჯერ დაბომბეს. ქალაქი მთლიანად დანგრეული იყო. გვათამაშეს სახელდახელოდ მომზადებულ „აზოვის“ სტადიონზე ბიკეტოვკაში, რომელიც 30 კილომეტრზეა ქალაქიდან. თამაშს უამრავი მაყურებელი დაესწრო — მეტი წილი სამხედრო ფორმით იყო. პირველი ბურთი ჩვენ გავიტანეთ, მაგრამ მატჩის მიწურულში 11-მეტრიანი საჯარიმო „დავიმახსოვრეთ“ და ანგარიშიც გაიქვითა — 1:1. მთავარი კი, ცხადია, მისი შედეგი არ იყო, არამედ ის იშვიათი მეგობრული ატმოსფერო და კეთილმოსურნეობა, რომლითაც მიმდინარეობდა ეს ორთაბრძოლა. ჩვენს დელეგაციაში, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა შავგულიძე ხელმძღვანელობდა, იყვნენ სერგო შუდრა, ვლადიმერ ჭორბენაძე, ბორის ფროლოვი, უშანგი ხალდაძე, არჩილ კიკნაძე, გრიგოლ გაგუა, გიორგი ჭელიძე, ვიქტორ პანიუკოვი, ვიქტორ ბერეუნოი, გაიოზ ჭეჭელავა, სპარტაკ ჭეჭელავა, კიკა ხინთიბიძე, შურა ჯიბლაძე, ბორის პაიჭაძე. გუნდის მწვრთნელი იყო ალექსი სოკოლოვი.

და აი, 33 წლის შემდეგ საშუალება მომეცა კვლავ შევხვედროდი ჩემს ძველ მეგობრებს — „ტრაქტორის“ ყოფილ ფეხბურთელებს ვ. ერმასოვს, კ. ბელიკოვს, ფ. გუსევს, გ. შლიაპინს, ა. კოლოსოვს, ს. პლონსკის, ხ. პელიკიანს, რომლებმაც ჩვენი მატჩის მრავალი დეტალი გაიხსენეს. სხვათაშორის, გულისხმიერმა მასპინძლებმა ერთსულოვნად გამოთქვეს სურვილი ქართველ ფეხბურთელებთან 35 წლის წინათ გამართული შეხვედრის აღსანიშნავად თბილისშიც მოეწყოს „ტრაქტორისა“ და „დინამოს“ ვეტერანთა მატჩი. ვფიქრობ, რომ საგულისხმო აზრია.

დავთვალიერეთ ვოლგის ამ უდიდესი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საყოველთაოდ ცნობილმა მამაის ყორღანის მემორიალურმა ანსამბლმა, რომელზეც დაღუპულ მეომართა ვინაობის დაფებია მიმაგრებული. აქ მე ბევრი ქართული გვარი ამოვიკითხე, რამაც დიდი მღელვარება განმაცდევინა. ტურნირის მონაწილეები და საპატიო სტუმრები სამახსოვრო ზონრებითა და სამკერდე ნიშნებით დაგვაჯილდოვეს. უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს უცრაზე აღბეჭდა საქართველოს ტელევიზიამ, რომელიც ამ დღეებში, ალბათ, აჩვენებს მას ციხოფერ ეკრანზე“.

* * *

აი, როგორ წარიმართა ტურნირი (18-22 მაისი). გუნდები ოლიმპიური პრინციპით ასპარეზობდნენ. პირველ დღეს ლენინგრადელებმა დაამარცხეს ვოლგოგრადელები (3:1) და ფინალში გავიდნენ. ძალზე დაძაბული გამოდგა მატჩი მეორე ფინალისტის გამოსავლენად მოსკოვისა და კიევის გუნდებს შორის. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2, თუმცა მოსკოველებმა მოიგეს პირველი ტაიმი ანგარიშით 2:0. პენალტების სერიამ გამარჯვება კიეველებს მოუტანა. და აი, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ლენინგრადელებმა სჯობეს კიეველებს (2:0) და ტურნირის მთავარი პრიზი მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ კიეველები, მესამეზე — მასპინძლები.

ო. ნოზაძე.

სურათებზე: სსრ კავშირის 1978 წლის ახოლუტური ჩემპიონები მხატვრულ ტანვარჯიშში ირინა დერიუგინა (მარცხნივ) და გალიმა შუგუროვა.

ა. საკოვის ფოტოები.

ჭადრაკი

ლიდერთა დუეტი

ქუთაისი, 24 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობაში, რომელსაც ადგილობრივი მრეწველობის კულტურის სახლი მასპინძლობს, II და III ტურების შეხვედრები მოეწყო.

II ტურში მეორე გამარჯვება იზეიმეს თბილისელებმა ოსტატმა ც. კობაიძემ, მ. წერეთელმა და ქუთაისელმა თ. მესხმა. პირველმა სძლია ნ. იმნაძეს (მახარაძე), მეორემ — პირველობის ახალბედას ლ. ფაჩუაშვილს (ქუთაისი), მესხმა კი საქართველოს ორგზის ჩემპიონი ოსტატი თ. ხუციშვილი დაამარცხა.

ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ ც. კახაბრიშვილისა და ქ. მელაშვილის (ორივე — თბილისი) შეხვედრა. გაიმარჯვა ქ. მელაშვილმა.

რესპუბლიკის შარშანდელმა ჩემპიონმა ნ. მელაშვილმა (თბილისი) მოუგო ი. ახვლედიანს, მ. ჭირაქაძემ (ორივე — ქუთაისი) — ვ. შეყილაძეს (ტყიბული). ლ. ბელოზიოროვამ (თბილისი) — ნ. გოგიას (ცხაკაია), ც. ჭასომვილმა (გორი)— ლ. თანდაშვილს (თბილისი). დაზაგდნენ ნ. მუსერიძე (თბილისი) — ნ. გურგენიძე (რუსთავი).

წვრილფეხა და მესხმა III ტურშიც გაიმარჯვეს. თბილისელმა მოჭადრაკემ დაამარცხა მუსერიძე, მასპინძელმა კი გოგია კობაიძეს მძაფრი ბრძოლა გაუმართა ჭირაქაძემ და პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ნ. მელაშვილმა კარგად ისარგებლა გურგენიძის უზუსტო თამაშით და მოიგო. აბზიანიძე დასაწყისშივე შეცდა და ხუგაშვილმა გაიმარჯვა ფიგურის შეწირვით.

კახაბრიშვილმა ფარ-ხმალი დააყრევინა შეყილაძეს, ბელოზიოროვამ — იმნაძეს. თანდაშვილს დიდი უპირატესობა ჰქონდა ფაჩუაშვილთან, მაგრამ შეცდა, უეცლოდ დარჩა და დანებდა.

გადაიდო ქასომვილი — ქ. მელაშვილის პარტია გორელი მოჭადრაკის უპირატესობით.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. წერეთელი და თ. მესხი — 3-3 ქულა. ნ. მელაშვილს 2,5 ქულა აქვს, ც. კობაიძეს — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ზ. ბურკაძე,
პირველობის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ჭიდაობა

ამას წინათ ქ. ლიპეცკში გაიმართა მოსწავლეთა საკავშირო პირველობა ძიუდოში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 20 ქალაქის გუნდი. კარგად გამოვიდა თბილისის ნაკრები, რომელიც განათლების განყოფილების მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული (მწვრთნელი კ. ნინიაშვილი).

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ: გ. ბერუაშვილი (83 კგ) და გ. კობერიძე. (მძიმე წონა). მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ ბ. მინდიაშვილი (53 კგ), ზ. გობოზოვი (62 კგ) და გ. მურადაშვილი (58 კგ).

გუნდურ ჩათვლაში თბილისელი მოჭიდავეები ერთი ქულით ჩამორჩნენ მასპინძლებს — ლიპეცკის ოლქის ნაკრებს (27 ქ) და მეორე ადგილი დაიკავეს. მესამეზეა კიშინიოვის გუნდი (22 ქ).

ბ. თათეიშვილი.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მეოცე ტირაჟისა, რომელიც 20 მაისს მოსკოვში მოეწყო.

პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 3 ათასი მანეთია, ოთხისთვის — 649, სამისთვის — 12.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 267, სამისთვის — 5.

მოგებული თანხა გაიცემა 31 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

ჯუნიორ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 21-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სიმბოლოები:

„სპორტლოტო": 12 (წყალ-სამოტორო სპორტი), 17 (ხბატვრული ტანვარჯიში), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 37 (სროლა), 41 (ჩოგბურთი), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 23 (მძლეოსნობა).

„სპორტლოტო-2": 7 (ბიატლონი), 14 (ფრენბურთი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 30 (აფროსნობა), 33 (მშვილდოსნობა), 49 (შაში). შეღავათიანი ბურთულა — 44 (ფიგურული ციგურაობა).

„ოლიმპიადა-80"-ის ჰორიზონტები

ათენში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის (რომელმაც მოისმინა მოსკოვის XXII ოლიმპიადისთვის მზადების მიმდინარეობის ანგარიში) დამთავრების შემდეგ საკდესის სპეციალურმა კორესპონდენტმა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს, ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ი. ნოვიკოვს** სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე:

— გვიამბეთ როგორ მიიღო სესიამ საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში?

— ანგარიში, რომელიც თითქმის სამი საათი გაგრძელდა, მოისმინეს დიდი ინტერესითა და ყურადღებით. ყველა შეკითხვაზე ამომწურავად ვუპასუხეთ. სოკ-ის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა სესიის მონაწილეთა სახელით დამაკმაყოფილებლად შეაფასა ჩვენი ანგარიში და საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობა. დიდი ინტერესი გამოიწვია, აგრეთვე პრეს-კონფერენციამ, რომელზეც ჟურნალისტებმა ბევრი შეკითხვებით მოგვმართეს.

ჩვენ ვაცნობეთ, რომ საორგანიზაციო კომიტეტი ამჟამად მთავარ ყურადღებას უთმობს გეგმის მიხედვით მიმდინარე ახალი ობიექტების მშენებლობასა და არსებულის რეკონსტრუქციას. ოლიმპიური ნაგებობათა უმრავლესობა მწყობრში 1979 წლისთვის ჩადგება, რათა ოლიმპიურ სარბიელებზე შესაძლებელი გახდეს სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების ჩატარება.

ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს ოლიმპიური ნაგებობების თანამედროვე ტექნიკური აღჭურვისთვის. ოლიმპიადების მზადების ისტორიაში პირველად ორი წლით ადრე გამოვაცხადეთ როგორი აღჭურვილობითა და ინვენტარით ისარგებლებენ სპორტსმენები XXII ოლიმპიადაზე. ეს საშუალებას მისცემს ყველა ქვეყნის ოლიმპიელს უფრო ეფექტურად მოემზადოს შეჯიბრებისთვის. საორგანიზაციო კომიტეტს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან. მათ მიერ უკვე მოწონებულია შეჯიბრების პროგრამა დღეების მიხედვით. ახლა მათთან ვათანხმებთ პროგრამას საათების მიხედვით.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ XXII ოლიმპიადისთვის მზადება ჩვენთან ხორციელდება სსრ კავშირის მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სრული მხარდაჭერით, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და ტალინის სპორტული და სხვა ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

— საორგანიზაციო კომიტეტი როგორი პრინციპით აშენებს სპორტულ ნაგებობებს?

— ჩვენთან არც ერთი ობიექტი არ შენდება მხოლოდ ოლიმპიადისთვის. ბევრი მათგანი ქალაქების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით იყო გათვალისწინებული და სუბსიდირებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ისინი გამოყენებული იქნება ჩვენს ქვეყანაში სპორტისა და ფიზკულტურის განვითარებისთვის.

— როგორია მომავალი ოლიმპიადის საერთაშორისო მნიშვნელობა?

— ჩვენ მიზნად ვისახავთ ხელი შევუწყოთ საერთაშორისო სპორტული მოძრაობის გაფართოებას, ოლიმპიური იდეალების განმტკიცების, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენ ვაცნობეთ სოკ-ის წევრებს, რომ საორგანიზაციო კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში თამაშების პროპაგანდას. ჩვენ დავამყარეთ საქმიანი კონტაქტი აფრიკის სპორტის უმაღლეს საბჭოსთან, რომლის გენერალურმა ასამბლეამ ახლახან XXII ოლიმპიადის სრული მხარდაჭერის რეზოლუცია მიიღო.

ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის ინფორმაციათა გაფართოების მიზნით, გაზარდეთ საორგანიზაციო კომიტეტის გამოცემათა — „ოლიმპიური პანორამა" და „ოლიმპიადა-80"-ის ტირაჟები.

— მიიღო თუ არა სოკ-ის სესიამ საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წინადადება?

— დიახ. მიღებული იქნა ჩვენი წინადადებები სპორტსმენთა, ოფიციალურ პირთა და ჟურნალისტთა მიღების თაობაზე. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უცხოელი ტურისტების მიღების ორგანიზაციამ, ვინაიდან მოსკოვში ოლიმპიადაზე ჩამოსვლის მსურველთა რაოდენობა უჩვეულოდ ბევრია.

დაგვთანხმდნენ საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის შექმნაზე, სადაც ნავარაუდევია მოეწყოთ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ოლიმპიური რეზერვებიდან გოგონები და ჭაბუკები და მიეცეთ მათ ფართო შესაძლებლობა გაეცნონ საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებას, ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მუშაობას, სსრ კავშირის კულტურულ მიღწევებს და რა თქმა უნდა, დაესწრონ ოლიმპიურ შეჯიბრებებს.

შევხვდით საბერძნეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს და განვიხილეთ ოლიმპიადაში ოლიმპიური ჩირაღდნის დინთების ტრადიციულ ცერემონიალთან დაკავშირებული საკითხები.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ გვჭონდა ნაყოფიერი შეხვედრები საქმიან წრეებთან, საერთაშორისო ფედერაციებთან და სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელებთან. ეს შეხვედრები ხელს შეუწყობენ ჩვენი კონტაქტების გაუმჯობესებას და ოლიმპიადა-80-ისთვის ყოველმხრივ წარმატებით მომზადებას (სკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

კალათბურთი

კიევში დამთავრდა პირველი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირი. გაიმარჯვა ვილნიუსის „სტატიბამ", რომელმაც რვა ქულა დააგროვა. მეორე აღგილზე გავიდნენ კიეველი არმიელები (7 ქულა). ლატველ კალათბურთელთა წარმატების საწინდარი იყო კოლექტიური თამაში, ხოლო კიეველი არმიელები უმაღლეს ლიგაში გადასვლას უნდა უმადლოდნენ სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ი. ედუშკოსა და ა. სალნიკოვს.

26 მაისს თბილისში, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქ. № 5) 12 საათზე მუშაობას იწყებს „ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ" ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲝᲡ III ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

დღის წესრიგი:

1. ოლიმპიური რეზერვის მომზადების მიზნით რესპუბლიკის სასოფლო-ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერების შესახებ (მომხს. ვ. ყენტი).

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" გამომდინარე რესპუბლიკის სასოფლო-ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები (ნ. სომბიშვილი).

რეგისტრაცია იწარმოებს საზოგადოების ცენტრალურ სახლში 25-26 მაისს 9 საათიდან.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა რედაქციის მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; საშახტერო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეენანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЗ 02093